შესახვევი თუთუნი • roll-your-own tobacco



შესახვევი თუთუნი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის თანახმად (მუხლი 3.ა.დ) არის თამბაქოს ნაწარმის ნაირსახეობა და მასზე თანაბრად ვრცელდება თამბაქოს სხვა ტიპის ნაწარმზე (ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტი, სიგარილა, სიგარა, საჩიბუხე თამბაქო და ა.შ.) მოქმედი აკრძალვები.

შესახვევი თუთუნი, ტრადიციული ფილტრიანი სიგარეტისგან განსხვავებით, სხვანაირი წესით იბეგრება და ექვეებარება ფილტრიანი სიგარეტისგან განსხვავებულ აქციზურ ნიშანდებას.

კერძოდ, თუკი მაგალითად ფილტრიანი სიგარეტის შემთხვევაში სააქციზო განაკვეთი **20 ღერზე** (1 კოლოფ სიგარეტზე) შეადგენს **1.7 ლარს**, შესახვევ თუთუნზე (ისევე როგორც საჩილიმე თამბაქოსა და საჩიბუხე თამბაქოზე) აქციზის განაკვეთი **1 კგ** -ზე შეადგენს **35 ლარს.**

აქედან გამომდინარე, რადგანაც იმპორტიორი კომპანიები, რეალიზატორები, საცალო მოვაჭრეები და ა.შ. ტრადიციულად არ ყიდიან შესახვევ თუთუნს 1 კგ-იან შეფუთვაში, როგორც წესი, აფასოებენ მას, შედარებით მცირე რაოდენობის შეფუთვებში (მაგალითად 50 გრ. ან 10 გრ.), ადებენ გარკვეულ ფასს და სარეალიზაციოდ შეაქვთ სავაჭრო ობიექტებში სადაც თამბაქოს ნაწარმი იყიდება, ან თავად ყიდიან საბითუმოდ.

სწორედ ამ დროს მოქმედებას იწყებს თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ე)ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც **აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გარეშე რეალიზაცია.**

წვრილ მეწარმეებს შეფუთვად ხშირ შემთხვევაში, მცდარად მიაჩნიათ ადგილზე დაფასოება ნედლეული ნაწარმისა, მაგალითად პოლიეთილენის პარკებში მისი მოთავსებისა და აწონვის გზით. სინამდვილეში, შეფუთვა გულისხმობს თამბაქოს ნაწარმის, მათ შორის შესახვევი თუთუნის ერთეული კოლოფის, ყუთის, კონტეინერის და ა.შ. (რაშიც პროდუქციაა მოთავსებული) შეფუთვას და მათზე სამედიცინო გაფრთხილებებისა და პიქტოგრამების დატანასაც (იხ. დადგენილება #14).

შესახვევი თუთუნისა და ზოგადად თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გარეშე რეალიზაცია იწვევს დაჯარიმებას 150 (განმეორებისას 300) ლარის ოდენობით, ხოლო შეფუთვის წესების დარღვევა, ასევე სამედიცინო გაფრთხილებების როტაციის წესის დარღვევის დროს ჯარიმა შეადგენს 5000 ლარს და ნაწარმის კონფისკაციას. (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 155[6])

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ შემოსავლების სამსახურს ცხელ ხაზზე : **2 299 299** ან დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თამბაქოზე თავის დანებების ქოლ ცენტრს ნომერზე: **116 001**

დამატებითი ინფორმაცია: → www.ncdc.ge
კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ → https://matsne.gov.ge/ka/document/view/1160150?publication=3
საგადასახადო კოდექსი → https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=142
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი → https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216
თამბაქოს ნაწარმისა შეფუთვის რეგულაციები - დადგენილება #14 → https://matsne.gov.ge/ka/document/view/4002704?publication=0